

579

1979

83

USSN 0132—5965

СОВЕТСКИЙ  
КОЛОРИСТ



1979 А363260 N1

СОВЕТСКИЙ  
КОЛОРИСТ



ყინვის გოგო მობრძანდა —  
 ლამაზი და ლაღი.  
 ვერცხლის უაისნადით  
 მოუქანგავს ბაღი.  
 თეთრი, თეთრი სასაღებო,  
 უვაჟილნარც თეთრი.  
 თეთრ ჭიშკართან თეთროანი  
 დათოვლილი ეტლით.  
 ეტლში თეთრი გოგო ზის,  
 თეთრი ფატა შვეინს.  
 იქვე თეთრი ბიჭუნა,  
 გრძელკისურა შვეელი.  
 ნეტავ საით მიჰქრიან,  
 საით იქნარიან?  
 ნუთუ სინამდვილეა?  
 იქნებ სიზმარია?!

\* \* \*

ჩემო ცეროდგენებო,  
 ვუვალაფერი ეს —  
 ყინვის გოგომ ფანჯრის მინას  
 მიაქარვა დღეს...

# ნაძვისხუთან

ზონდო მუზიკამ

გუშინ მორთეს ნაძვისხე  
თამილამ და ნათიამ,  
აკიაფდა ათასფრად,  
ზედ ვარსკვლავიც ანთია.  
ლექსებს ამბობს მანანა,  
გურამი და ხათუნა  
და სიმღერით ფერხულში  
ყველა ერთად ჩართულა.



ბიბლიოთეკა  
2757

# ზამთარი

შალვა შუგლაძე

იანვარი ყინავდა,  
თებერვალი ბერავდა.  
ამდროს საგაზაფხულოდ  
მარტი კაბას კვრავდა.  
მარტამდე ჯერ შორია,  
ჯერ ხომ იანვარია,  
ახლა სადღაც ტყბილი ძილით  
სძინავს ქიამარიას.



ნახატები **თავაზო ხუციშვილისა**

პ. შერშისი ს. ახ. ს. ს. ს.  
ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკა  
ბიბლიოთეკა

ბინა, ვიწივლე და ვიწივლე. ნატომ კრუხს შეუტია, კრუხი კიდე უფრო გაავდა.

მოკლედ, ამითვალისწინა დედობილმა, გასაქანს აღარ მძლევდა. მე კი ტოლბეზთან მიხლოდა, დედის ალერსი მენატრებოდა.


წვიმიანი დღეა, სამზადის წინ კრუხმა შეილებს დაუკურკურა, ფრთებქვეშ შეისხა, ერთი მეტიჩარა წიწილა ზურგზე შეახტა, თან დედის კისერზე ნისკარტი გაიწმინდა. ვუყურებდი დედაშვილის ალერსს და გული მეთუთქებოდა. ობოლი ვარ, უმწყო, ნუთუ დედის მოფერება არ უნდა მეღირსოს? ნადველმორეულმა ისეთი ვიწივლე, კრუხიც კი შევაშინე. ისევ ნატო მომეშველა, ხელში ამიყვანა.

— ნუ გეშინია, ჩემო ლამაზო, კრუხს კულით ქვეს ვასროლინებ!—კრუხისაკენ წავიდა, უცრად შეჩერდა, ბუხრის პირას მწოლიარე შაუნა შენიშნა, თავისი შავზე—შავი კატა, —შაუნა, ჩემო კარგო შაუნა, შენ ხომ კეთილი ხარ, გაუწიე დელობა წიწილას, არც დედა ჰყავს, არც მამა, ამ ქოფაკმა კრუხმაც არ მიიკარა, —შენც იცი მავის ნისკარტის სიმწარე, —შაუნამ თვალი გაახილა, წამოდგომა დაეწარა, გიჟმორა—შაუნა, შენი იმედი მავს, ობოლს თვალისჩინივით გაუფრთხილდი.

ნატომ მის კისერზე დამსვა, კატა ცალი თვალით აღმაცერად მომჩერებოდა. ხმას არ მცემს. მის ფაფუკ ბეწვში თავი ჩავეყვი, მივეტმასნე, ღმერთო ჩემო, როგორი თბილი და რბილია.

შაუნა კეთილი გამოდგა, არ მიშლის მივეხუტო, მის ბეწვზე ნისკარტი გავიწმინდო. ერთი ახირებული ზნე აქვს მხოლოდ: შეხტება ხეზე და იქიდან მეძახის. ვერ გაუგია, ხეზე ასვლა რომ არ შემიძლია. ერთ დღეს გავიხედე და, კრუხიც ხეზე არ ასულა! ჩემმა დედობილმა მაინც აჯობა, უშველებელ ბლის ხეს კენწეროში მოექცა, იქიდან გადმომცქერის და ჩუმიად, სულ ჩუმად კრუტუნებს.

სალამოს კრუხმა წიწილები ფრთებქვეშ შემიოხსა. მეც ჩემ დედობილთან მივედი, ბუხრის პირას მიწოლილს უღელზე შევახტა, იმან სიამოვნებით ჩაიკრუტუნა. ბეწვზე ნისკარტი შევიწმინდე და წიწილებს თავმომწონედ გადავხედე, ისინი დედის ფრთებქვეშ აღარ ეტევიან, ერთმანეთს ეძიძგილავენბიან, მე კი არხეინად ვზივარ დედობილის კისერზე და მის კრუტუნს ვუსმენ.



# ქარბაცია

გზია ჩხბიანი

ამ დღით რომ ფანჯრიდან თოვლის ფიქვებს გვაყრიდა, ა, ის ქარი, აშარი, გზაზე გარბის ხარხარით. ვის წაართვა თავშალი, დაზღის თბილი თავშალი? კანკალით და ხანხალით ბებო მისხვას საწყალი. — დამიბრუნე თავშალი, ჩემი თბილი თავშალი! — სიცილით და ხარხარით დარბის ქარი აშარი. ვითომ არაფერია, მღერის:—ვეღი-ვეღია! — შეხეთ რა უზრგეღია! ჰეი, ქარო, ტაცია, აბა, ის რა კაცია, ვინც მოხუცებს აწვალებს? გაუბრუნე ახლავე! — გამოგტაკე თავშალი, გასხტა ქარი აშარი, ხეგადაღმა გაფრინდა სიცილით და ხარხარით.

# შპრიგება

ოტია იოსელიანი

სახლში დაბრუნებულ ზაზას მამა ერთმანეთზე წარბებგადაბმული დაუხვდა. მამას წარბები ერთმანეთზე მაშინ გადაებმება ხოლმე, როცა გაჯავრებულია.

— მობრძანდით აქ, ყმაწვილო, დაბრძანდით!

ზაზამ უჩასავით ჩამოყარა ყურები.  
— მე ყველაფერი ვიცი!—მამამ ფეხი ფეხზე გადაიღო.

ბებიამ წიგნს თავი მიანება და მამას გამოხვდა.

— ბავშვი ხბო არ არის, წელზე დაწრით გამოიბა.

დედამ სამზარეულოდან პილპილნაქამივით გამოსძახა:

— მაგრამ ბავშვმა მეზობლობა და მეგობრობა უნდა იცოდეს!

— გვადროვეთ!—ბები და დედა გააჩუმა მამამ,—ჯერ ჩვენ ვლაპარაკობთ, მამაკაცები!

— მაგრამ ბაღს ოთხ კედელში ვერ გამოკვებავთ!—თავისი არ დაიშალა ბებიამ.

— არავინ არ კეტავს, მაგრამ მეზობლობა და მეგობრობა უნდა იცოდეს,—ისევე არ გაჩუმდა პილპილნაქამი დედა.

— გვაცალეთ ჩვენ, მამაკაცებს!—ხმას აუწია მამამ და ზაზას მიუბრუნდა,—ხომ იცი, რომ მე ყველაფერი ვიცი!

— ვიცი,—თავი ჩაკიდა ზაზამ.

— ისიცი ვიცი, რაც მოხდა, მაგრამ მეგობარი მეგობარია.

— უჩა არაფერი მეგობარი არაა,—მიხვდა ზაზა, რა დანაშაულიც ედებოდა.

— მინც არა ხარ მართალი,—არ დაეთანხმა მამა და წარბები კიდევ უარესად გადარახა,—იმ ბავშვმა ბოღიში მოგინახდა, შენ კი ჯორზე შეგვექი.

— ჯოლზე ალ შემჯდალა, ბეტონის მილიდან გამოძვლა!—თავი გამოყო სამზარეულოდან უჩამ.

— ჯორზე შეგდა, ესე იგი, გაჯიუტდა და არ გაბატია.



ნახატი თამაზ ხუციშვილისა

— ალ მამატი, — პარტყუნა ყურები ჩამო-  
 ყარა უჩამ.  
 — მაგის მიზეზით მომადგნეს და დამკენ-  
 ტეს, — თავის მხრივ ახსნა ზაზამაც.  
 — მეგობრისათვის ყველაფერი უნდა აი-  
 ტანო, მეგობრობა ძნელია, ვიცი! მე მიწაში  
 რაა, ის ვიცი! — დაბეჯითებით თქვა მამამ, —  
 მიდი და ხელი ჩამოართვი!

ზაზამ ფეხი არ მოიცვალა, მაგრამ უჩა მა-  
 შინვე ხელგამოწვდილი გამოიქცა.  
 რალა ექნა ზაზას, თუ ყველაფერი უნდა  
 აპატიო და სხვა გზა არაა... თვითონაც ხელი  
 ჩამოართვა. უჩა სიხარულით ცას ფწია.  
 ისე, თუ სიმართლვ გინდათ, მართლა ძა-  
 ლიან ძნელი კი ყოფილა ეს მეგობრობა.

## კავთაგვობა

### ბიორგი წყრეთელი

ერთი კარი იქით არი,  
 ერთი კარი აქეთ არი,  
 კატა არის ფეხბურთელიც,  
 მსაჯიც, მწვრთნელიც, კაპიტანიც...  
 ბელგლია მოედანი,  
 ბურთაობა კაკლით არის.  
 გადმოუხტა კატას თავვი,  
 კონტად გაჰკრა კაკლს თავი:

### ნახტი ელშარდ ამოგაქნისა

— მომეცალე კაპიტანო,  
 ბურთი უნდა გავიტანო! —  
 ფანდი უყო კაპიტანსა,  
 თავგმა ბურთი გაიტაცა,  
 მაგრამ კატა რის კატაა,  
 რომ ვერ შეძლოს კარის დაცვა,  
 დაიჭირა მოკაქლავე,  
 ათამაშა კაკლის ნაცვლად.





## ჩვენი საბავშვო შვობა ბაღი

ნოდარ შამანაძე

ჩვენი საბავშვო ბაღი  
მართლაც კარგი რამ არის,—  
ქეთევანი ორი ვართ,  
ოთხი არის თამარი.  
სამი—შოთა, სამი—მზია,  
ორი—სოსო, ორი—ლია,  
ორი—პელო, ერთი—ჯონდო,  
ერთიც კიდევ—მერი.  
— სულ ოცი ხართ?  
— რათა ოცი?  
— მაშ რამდენი?  
— ბევრი!..


## ზამთარი

ავთანდილ მებგალიშვილი

გუშინ სრიალით გავერთე  
და ეზო-შარას გავცილდი...  
სახლში მთლად სველი

დავბრუნდი

მანველებს, ისე გავცივდი.  
პალტო არ მეცვა, თოვლ-ჭყაპში  
შილიფად—სირბილს რა მრჯიდა?  
ახლა ლოგინში ვწვევარ და  
ზამთარს გავცქერი ფანჯრიდან.





# წუხილი

მანანა ავალიშვილი

ნახატი მელქარდ აგგოკაძისა

თამუნა მოწყენილი დგას ფანჯარასთან. წამ-წამებმოჩნდილი დიდი თვალებით მისჩერებია მაღალ სახლებს და რალაცას ფიქრობს.

დიდი სიჩუმით გარემოსილი საღამოს ბინდი ფეხაკრეფით უახლოვდება ცას. თამუნა წუხს, აღარ იცის, როგორ მოიცილოს თავიდან აკვირ-ტებული მოწყენილობა და ხმადაბლა ამბობს:

— დედა, გასსოვს რა დამაბი იყო გასულ გა-ზაზხუნდზე კუთხარო? რამსიმაღლე გვირილები ხარობდა.

დედა აუთოვებს. წამით განხამებულ თეთრედ-ზე უთოს აჩერებს და ყურადღებით აცქერედა გოგონას.

— როგორ კანკალებდნენ ფოთლები ნიავის წა-მობერვაზე, არა, დედა?

— ძალიან დამაბი იყო კუთხარო, მეც არ და-მავიწყდება, მაგრამ მათემატიკას რა ვუ-ყოთ?

თამუნა იღრუბლება, განაწყენებული უახლოვ-დება საწერ მაგიდას და მაღლი ოხვრით შდის წიგნს. ერთხანს ისევ დამარტოვდება თავის ბავ-შეურ ფიქრებთან, მერე კითხულობს:— „ამოხსე-

ნით უტოლობა“. „უ-ტო-ლო-ბა“, მარცვდავს გოგონა და ფიქრები ახლა უკვე ფერხულ უვლიან მის გონებაში.

„რამდენი დამაბი სიტყვა არსებობს ამქვეყ-ნად: მიწა, სოფელი, ყვავილი, ხბო. მოფრინდ-ბიან სიტყვები და თავისით ენაზე გასხდებიან, მერე იტყვიან, ამ გოგონას მოქარგული ენა აქვსო. ეს კი რალაა? უტოლობა, ნეტა აქამდე სად იყო, აქამდე რატომ არასოდეს გაუგონია?“

თამუნა ხურავს წიგნს და დაღლილი ხმით ამ-ბობს:

— დედა, შეძინება.

მოწყენა მყურდო მოკალათდა გოგონას თვა-ლებში, მოწყენა ეტყობა ხმაშიც.

— დედა, გასსოვს, შარშან ზამთარში საწყა-ლი თოლია მგლებმა რომ გაიტყუეს შორს, ძა-ლიან შორს და დგადიჯეს?

დედა გრძნობს, რომ გოგონა საცაა ატირდ-ბა, ხალისიანად ულიმის და ეუბნება:

— მერე რა, შვილო, ახლა ხომ მერცხალა გყავს.

— მერე, მერცხალა განა თოლია არის?— ხმის-აწვევით ამბობს თამუნა და წუხილისაგან თავ-დახსნილი შვებით ტრის.



# ბრძენი კავა

აკაკი გელოვანი

ზ ლ ა პ ა რ ი

ერთ სოფელში ერთი ბერიკაცი ცხოვრობდა. იმ ბერიკაცს ერთადერთი რაც გააჩნდა, კატა იყო. ბრძენზე ბრძენი, ისეთი ბრძენი, როგორიც, საერთოდ, შეიძლება იყოს კატა. კაცმა რომ თქვას, ანკი რატომ უნდა დავუვლით: თავგებს მუსრს ავლევდა, ყველს იშვითად იპარავდა, თუ არ შიოდა, ჩიტსაც არ ააფერენდა, არ ქნაოდა, არ ჩხაოდა, წიწილებს არ ეწროდა და კიდევ... კიდევ რაღა გინდა კატისაგან? ცაში ვარსკვლავებს ხომ ვერ დათვლიდა!

ერთხელ კი... ერთხელ ბრძენი კატა ტყეში სახადიროდ წავიდა. ტყე უღრანი, ბნელი და გაუყვანილი იყო. ბევრი იხეტიალა და რაკი სახიბლო ვერაფერი ნახა, უკან გამობრუნება დააპირა, თანაც ასეთი ბრძნული აზრი მოუვიდა:—ვაითუ, თვითონვე გავხდე სხვა ხადირის სახილოლო.

უტაბედად საიდანაც თავი გამოვარდა, კატა გაეციდა, მაგრამ თავი იქვე კლდის ნაპრალში შევარდა და გაუჩინარდა. ფისო ნაპრალის შორიახლო განიხაზა; მე თუ კატა მრქმევია, ამ წრუწუნუს მაინც დავიჭერო.

ღიბანს იცადა თუ ცოტა ხანს, გავიხვლით და კლდის ლოდმა გაიწია. გაიწია და გამოვიდა... თქვენ გგონიათ—თავი? არა! ნაპრალიდან საშინელი ყაჩაღი გამოვიდა. ხადირივით ბანჯგვლიანი იყო, რუმბივით მრგვალი და კვახივით უტეინო. თავზე ორი დიდი რქა ჰქონდა, შუბლზე ერთადერთი დოღაბისოდენა თვალი, რომელსაც ნალევრდალივით აბრღვლიალებდა. წელზე შემორტყმულ ტყავის ღვეღზე ფოლადის ორპირი დანა ეკიდა, ხელში კი ადლიანი შამფური ეჭირა. ტახი არ იყო, მაგრამ ეშვები ჰქონდა. ვეფხვი არ იყო, მაგრამ კლანჭებს იღესავდა. ზღარბი არ იყო, მაგრამ ტანზე ეკლები ესხა. ერთი სიტყვით, საშინელი რაღაც იყო.

— ყოპ!—შესძახა, — რამდენი ხანია ადამიანის ხორცი არ მიჭამია! ერთი წაიფიდე სოფელში, ათიოდე კაცი შამფურზე წამოვაცავა, აი, გემრიელი სახილი მაშინ მიქნება!

ჯავარზე ხელი გადაისვა და გზას გაუღდა. ტყე-



ში ისეთი ლაწანი ისმოდა, გეგონებოდათ, საილო მოაბოტებსო. კატა ფეხბერეფით მიჰყვა ავზახს.

სოფლის ბოლოს დაღლილი ყაჩაღი ნაიალადარ ხარივით ქწენას მოჰყვა.

— ყოპ, რამდენი ვიარე, მეძინება!—ამ სიტყვეზე რუმბივით დაეგლო და დაიძინა.

კატა დაფიქრდა, რა უნდა ექნა? მორევით—ვერ მოერეოდა, მართალია, ყველა ენა ესმოდა, მაგრამ ლაპარაკი არ შეეძლო. კიდევაც რომ წასულიყო სოფელში, ვის რას ვაავებინებდა?

იფიქრა ბრძენმა კატამ, იფიქრა და, ვერაფერი მოიფიქრა, დღონდა, ძალიან დღონდა. რა უნდა ექნა? უცებ რკოს ქნატუნით გართული თავი შენიშნა და მისკენ გაექანა... თავზარდაცემული თავი მძინარე კურდღელს დაახტა. კურდღელი წამოვარდა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. სირბილში ვერც კი შენიშნა, ყანაში შეპარულ მაჩეს როგორ

დაეჯახა. გაბრაზებულმა მანგმა გოგრის ყუნწი კბილების ღრქიალით გაკენიტა. კვახა ღეროს მიაწყდა და დაგორდა. დაგორებული გოგრა—ყანის ძირას მძინარე ყაჩაღს თავში მოხვდა. გოგრა რომ გოგრას მოხვდებოდა, ხმა გაეარღებოდა. აქაც ასე მოხდა. ხმაურზე ყაჩაღს გამოედევინა, გაცოფებული წამოიჭრა და დაიღრიალა:

— ვინ გამაღვიძო? ჩემს შამფურს ვეფიცავ, თავსე-ლომისთვის თვალის დათხარას ვერ გადარჩება!—და გამსკლარ გოგრას წაეტანა.

საცოდადმა კვახამაც კი იცოდა, რომ ყაჩაღი თუ თავის შამფურს დაიფიცებდა, მუქარას უსათუოდ აღასრულებდა.

— ო, დიღო მბრძანებელო,—ატირდა გოგრა,—ჯერ ერთი, შე თვალი არა მაქვს, მეორეც—რა ჩემი ბრალია? მანგმა მომაკენიტა ყუნწი და დამაგორა, მაჩეია დამანაშავე.



ყაჩაღმა ახლა მანგს დაუღრიალა:

— აქ მოდი, თვალი უნდა დაგთხარო!

— ვი, —ამოიკენესა მანგმა, —კურდღელმა გამაბრაზა და ყუნწი იმიტომ მოვაკენიტე. ყურცქვიტა დამანაშავე.

— კურდღელო, ერთთავად ცოვინანვით რომ დაბიხარ, აქ მოდი, თვალი ამოგთხარო!

კურდღელი ატირდა:

— დიღო მბრძანებელო, შე არაფერ შუაში ვარ, ყურზე თავვი დამხატა და შემაშინა.

— თავგო! —დაიქშინა ტყუირობა, —ვერ დინახე? თვალი სად გქონდა?

— ვი, ცოლო და შეილო—ატირდა წრწუწუნა, —ბა, კო უნდა დინახოს თავგმა, როცა კატა მოსდღებო?

— ყოპ! —დახიბოტინა ამდენი ლაპარაკით დაღლილმა ყაჩაღმა, —კატა ხარ, თუ რალაც ჯანდაბა, —მოდი, ეგ ბოროტი თვალები ამოგთხარო!

— რას ბრძანებ? —წყნარად მიუგო ბრძენმა კატამ, —მთელს ქვეყანას დავიმოწმებ, რომ მეც დამშვიდებთ მეძინა, მაგრამ დევკაცის ხერინვამ გამომაღვიძა.

— სად არის ეგ დევკაცი!

— აი, აქ გახლავთ, —მიუგო კრუტყუნით კატამ და იქვე დიდი ქის კიდზე შეხტა.

ბუმბერაზმა ქაში თავისი გამოსახულება დინახა და ბევრიც არ უფიქრია, დამნაშავეს დასასჯელად შიგ ჩახტა. ქა ღრმა იყო და ვიწრო.

ქაში გაქედელმა ბუმბერაზმა ისეთი ღრიალი მორთო, მთელი სოფელი შეიყარა. გამობოღდნენ კეტებით, ფიწლებით, ნაჯახებით; იქნებ ახლა მაინც მოვაშოროთ დევკაცი წუთისოფელსო, მაგრამ ეს საქმე უკვე ისედაც მოგვარებული იყო.

ბრძენი კატა კი ფეხაკრფით მივიდა შინ და პატრონის ხავერდის ბალიშზე დაღლილი მიწვა. მაშინვე დაძინა. ძილში ისეთი სიზმარი ნახა, სხვა დროს რომ გიაშობოთ, არც იმის მოსმენაზე იტყვიით უარს. რალა თქმა უნდა, სიზმარშიაც მეტრისმეტად ჭკვიანურად იტყვიდა.

ასე მოიცილა სოფელმა თავიდან კაცობიან ბუმბერაზი. დღეს იმ სოფელში ყველა თანხმობით შრომობს, ყაჩაღისა არავის ეშინია და ბრძენი კატის ამშავიც თაობიდან თაობაში გადადის.

# ცრუ გმირი

სულხან აბლაძე

დღით ბებიამ მეღიას  
 ტყავი თოკზე რომ დაჰკიდა,  
 ეზოში ატყდა ვიწვიში,  
 მთელი საქათმე გაკვირდა.  
 ველარ იყვიდა მამაღმა  
 და თავი ფრთებქვეშ ჩამაღა.  
 კრუხიც კი ჩვეულებრივად  
 ველარ წამოდგა ბუღიდან.  
 ქათმებს დღესა თუ პატარას  
 სულ შიშის ქარი უვლიდა.  
 ეზოში კაკან-კანკალით  
 შეგროვდა მთელი სათემო:  
 — მეღია თავს იმკვდარუნებს,  
 ფრთხილად იყავით ქათმებო! —  
 მხოლოდ მურიამ იცოდა  
 მეღიას თავს რაც გადახნა,

გულში ვენახში ვერღეს,  
 დაქრილი წყალში გადატა.  
 ეგონა თავს უშველიდა,  
 მაგრამ მოტყუვდა საწყაი,  
 შეიპყრეს, ტყავი გააძრეს,  
 ტყავი გააძრეს, რა ტყავი!  
 ...ერთს ნატრობს ჩვენი მურია,  
 ამ ქვეყნად ბუერის მნახველი;  
 ქათმებში მაინც დაიგდოს  
 გულადი ძაღლის სახელი.  
 და აი, ეს დღევ დამდგარა,  
 ნატვრად რომ ჰქონდა აქამდე.  
 აქ ისეთ ამბავს დაათვეს,  
 ვაკვირდეს მთელი საქათმე.  
 და უცებ ფეხქვეშ მოიგდო  
 უძვლო, უზოცო მეღია,  
 მანამდე ჯიჯგნა, სანამდე  
 ძაღვს არ გამოუღია.  
 თავი ასწია ვარიამ,  
 მამალი მხრებში გასწორდა,  
 ხმა დაკარგული რომ ჰქონდა,

ხმაც დაუბრუნდა საცოდავს  
 და იქვე ქათმებს, წიწილებს  
 თვადი მოავლო ამაყად,  
 ზემოდ ლობებზე შეფრინდა,  
 ყოვლიყოები გამართა.  
 ამ დროს ალათი ბებიამ  
 გამოიხედა სარკმლიდან,  
 რა ნახა მურას „გმირობა“,  
 გამწარებული აკივდა.  
 მორჩა, მურია სამიწე  
 ვერ დაუსხდებდა ადგილად,  
 მოსცხო და მოსცხო კომბადი,  
 ცხარე ცრემლები აღინა.  
 ჯერ გაიოცეს ქათმებმა:  
 — რას მოვესწარით,  
 რა ვნახეთ! —  
 მერე კი მიხვდა სუყვედა,  
 მურია რატომ გადახნეს  
 ძაღლი კი კვენისი, ცემისგან  
 ჩატყული აქვს ნალვედი...  
 გოჭის კულივით მოკლდა  
 ქვეყნად ცრუ გმირის სახელი.



# პარკინსონი

დღეს ერთი ჩვეულებრივი ამბავი უნდა ვიამბოთ.

მერტის, შენს ტოლ ბიჭუნას, საღამოობით სრულებით არ ეძინებოდა. მართალია, დაწოლით დაწვებოდა, თავს ბალიშზე დადებდა, საბანსაც ყურებამდე დაიხურავდა, მაგრამ ძილი მაინც არ ეკარებოდა. ან კი რა დააძინებდა, მისი გონება თუ აზრი—ათას რაღაცას უტრიალებდა და უკირკიტებდა.

„ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი...“ ითვლის ვარსკვლავებს მერტი და დაითვალა კიდევც, ის ხომ საზრიანი ყმაწვილი იყო და თვალის მახვილი ჰქონდა?! ამ ღროს ამოვიღა მთვარე და პირდაპირ ბიჭუნას ფანჯარაში შეანათა. მერტი მიესალმა: „სალამო მშვიდობისა, ძია მთვარე! შენ დიდი ხარ. ლამაზი, მრგვალი, ვარსკვლავები კი ძალზე პატარები, ხომ ასეა? რატომ გვლიმება ეშმაკურად?“

მერტი თუმცა დარწმუნებული იყო, რომ მთვარე ვერაფერს ეტყოდა, მაინც ისე ყურადღებას აქცევდა, გაჰყურებდა, თითქოს მისგან პასუხს ელისო. უეცრად მისდა გასაკვირად მთვარემ დაიბუბუნა:

— ვარსკვლავები ძალზე დიდები არიან.

შენს დედამიწაზეც დიდები, პატარები იმითომ ჩანან, რომ შენგან მეტისმეტად შორს არიან!

მერტი საწოლში წამოჯდა და გაკვირვებით შეხედა მთვარეს:

— ძია მთვარე! შენ ბრძენი ყოფილხარ. ამისხენი, დღისით უჩინარი ვარსკვლავები რატომ ანათებენ ღამით?

— ისინი ღამის ნათურები არიან და იმითომ. შენი დედოქოც ხომ აქრობს ნათურებს დღით? დღისით მზის ელვარება ისეთი ძლიერია, მათი შუქი მკრთალდება.

— მაგრამ, ვინ აქრობს დღისით ვარსკვლავებს?

— შენ არც ისე ჰკვიანი ბიჭუნა უნდა იყო,—ჩაიღიმა მთვარემ,—სულაც არ არის საჭირო ვარსკვლავების ჩაქრობა. უბრალოდ, დღისით, მზის შუქზე არ ჩანან, მაგრამ, როდესაც მზე ჩადის და ცა ბნელდება, ისევე აკაფდებიან ხოლმე.

— და, მაშინ ადვილია მათი დათვლა,—ჩაუბრალო მერტიმ.

— რასაკვირველია, —გაეღიმა მთვარეს,—მაგრამ ყველაზე სასიკეთო ის არის, რომ ღამით თუკი ვინმეს მხარი ექცა, ისინი გზაკვალს უჩვენებენ.

— როგორ? —გაკვირვა მერტიმ.





— დიდი ხნის წინათ,—დაიწყო ბუზუნა მთვარემ,—არც კომპასი არსებობდა, არც შუქურა და ადამიანები, ვერაფრით ვერ იგნებდნენ გზას გაშლილ ზღვაში. ერთ მეზღვაურს კი ძალზე დიდი სურვილი ჰქონდა გაეგო, რა იმალეობდა შორეული ზღვების იქით. ერთხელაც გაბედულად აუშვა ღუზა და კურსი ოკეანისაკენ აიღო. ირგვლივ მხოლოდ ნაცრისფერი ტალღები ფრტყნენ ვარს. როცა მზე ჩავიდა, უცხო ნაპირი დაინახა. მეზღვაურმა სიამაყის გრძნობით ჩაუშვა ღუზა, რადგან ახალი მიწა აღმოაჩინა, მაგრამ სამაგიეროდ თავისი ქვეყნისაკენ სავალი გზა დაკარგა.

დაღამდა. მალე ცის გუმბათზე ათასი დამის ნათურა აკიაფდა. ყველაზე მეტად პოლარული ვარსკვლავი კაშკაშებდა. დიდად გაიხარა მეზღვაურმა, რადგან ის უკვე მიხვდა, როგორ გაეგნო გზა შინისაკენ. მოგზაურმა აუშვა ღუზა და მზიარულმა შესცურა გაშლილ ზღვაში. მას ხომ პოლარული ვარსკვლავი უნათებდა და უჩვენებდა სავალ გზას.

— კარგია, რომ იპოვა გზა სახლისაკენ,—თქვა მერტიმ და მაშინვე მოინდომა ახალი ზღაპრის მოსმენა.

—მაგრამ ახლა უნდა დაიძინო,—თქვა მთვარემ,—უკვე გვიანაა.

— მე კი სრულებით არ მეძინება,—უპასუხა მერტიმ.

მთვარე დაფიქრდა, რა ხერხით დაეძინებინა ბიჭუნა და უცებ გაახსენდა საუბრის დასაწყისი.

— საერთოდ, თუ იცი, რამდენი ვარსკვლავი არსებობს?—ჰკითხა თვალების ეშმაკური ციმციმით.

— არა,—უპასუხა მერტიმ.

— მაშინ, დათვალე და მითხარი. მერტიმ სარკმელში მოკაიფე ვარსკვლავების თვლა დაიწყო.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი...—უნებურად დაამთქნარა,—რვა, ცხრა, ათი! თერთმეტი...—ისევ დაამთქნარა...—თორმეტი, ცამეტი, თოთხმეტი, თხუთმეტი, თექვსი...—სიტყვის დამთავრებაც ვერ შეძლო, ისე ჩაეძინა.

მთვარემ ჩაიღიმა და ჩურჩულით დაემშვიდობა:—ლამე ნებისა, მერტი!

ჩვენც ლამე ნებისა ვუსურვოთ მერტის. თქვენ კი, ვისაც ჯერ კიდევ არ გძინავთ, გირჩევთ, ახლავე შეუდგეთ ვარსკვლავების დათვლას.

ლამე ნებისა, ჩემო პატარებო!

გერმანულიდან თარგმნა **თამილა ჩხეიძე**

# ღაქსო და სათჳაღა

პ. გოგიაშვილი

— ღაქსო-ბიჭო, მოდი აქ,  
მოხუცს რატომ აწვალებ?  
ახა, მითხარ, ბებოვას  
რად მოჰარე სათჳაღე?  
— იმიტომ, რომ მჭირდება,  
რა ჯენა, მომწონს ძაღვან,  
მარტო ბებო კი ანა,  
მეც მოვხუცდი მაძია!

# ორელია- ჩანუნი

ლილა პრაძე

ორელია—რანუნი!  
ისეთ დავლურს დავუვლი,  
მერე გატყუით ღაქსებს და  
მერე ისე ვიმღერებ,  
ჩემს საცქერლად,  
ჩემს სასმენად—  
იაც უელს მოიღერებს.



## კორაღა

არჩილ ზამაური

უარძევანგსაც შემურდება  
ჩუმი ფანჯა, ჩუმი ემსი,  
მხოლოდ მე ვარ დოსტაქრი—  
ამ დაბურულ უღრან ტყეში.  
ვერც ეს ეინვა შემაძინებს,  
ვერც აწრილის წვიმა-თქემი.

# ზღვის ეშასაჲ

## პიორპი დათუაფვილი

მეთევზეებმა, რომლებიც მდინარე კოროხის შესართავთან კომბალას იქედნენ, ბაღეში არაჩვეულებრივი თევზი აღმოაჩინეს. თევზს უზარმაზარი პირი გაეღო და, როცა ბაღიდან ამოჰყავდათ, ცდილობდა მეთევზეებისათვის ეკბინა. ეს უცნაური თევზი ზღვის ეშმაკი აღმოჩნდა, ანუ თევზის მტაცებელი.

ზღვის ეშმაკი უქერცლო ტანი და დიდი თავი აქვს, ზურგი ყომაღალი ფერისაა. ამიტომაც, როცა იგი ზღვის ფსკერზე წევს, შეუმჩნეველია, ვე არის, მსხვერპლის მისატყუებლად, თავზე სამ წვერს ამოძრავებს. როგორც კი თევზი სამ მოქანავე წვერს დაინახავს, კივბად მიიჩნევს და მაშინვე ეცემა საკბილოს. მტაცებელსაც ეს უნდა; უტბად გააღებს უზარმაზარ ხახს და ხელად გადაყლაპავს თავდაშხმელს.

მას ისეთი ვეებერთელა კუჭი აქვს, რომ თავისივე წონისა და ზომის თევზს გადაყლაპავს შეუძლია.

ზღვის ეშმაკი ცხოვრობს ატლანტის ოკეანეში, ხმელთაშუა, ბალტიისა და ბარენცის ზღვაში, ხოლო იშვიათად შავ ზღვაშიაც გვხვდება. ზოგიერთი მითგანის სიგრძე ორ მეტრს აღწევს...

შავი ზღვის ნაპირთან დაპერილი მტაცებლის სიგრძე 76, ხოლო სიგანე 30 სანტიმეტრია. ის ამჟამად ბათუმის იქთიოლოგიის სადგურის ბინადარია.



# ქეღის

## ანგროსი დონნაძე

ზაზა ჭკუას არიგებდა სათამაშო მელისა:  
— არას გარგებს ტყეში ყოფნა, იქ ცხოვრება ძნელია. ერთს გთხოვ, ნურას იცუღღუტებ, თორემ ვეტყვი მურიას. მაგრამ მგონი არც კი მისმენ, სწორედ უცნაურია. თავნება ხარ და ჭკუასაც სულ ტყუილად გარიგებ, საჭათმესაც ისე უმზერ, სულ შეგვიკამ ვარიკებს.



# მხიარული ლექსები

შოთა ამირანაშვილი

## გამიჯე გოგონები

— თოჯინას საჭმელს ვუხარშავ,  
უთხრა ნათიამ ბაბაღეს,  
— შენ მინამ წყალი გაათბე  
და ერთი კარგად დაბანე!—

მეის დატრიალდა გოგონა,  
საჭმეს გაუძღვა ადვილად  
და გაღვრეჭილი თოჯინა  
მიიპატივეს სადილად.



## ნაშკრა

— მეც კურდღელივით ვვებო  
ყურები მჭონდეს ნეტავი,  
ყველაფერს გავიგონებდი,—  
ამბობს კულრაქა ნესტანი.  
დას გაკვირვებით უყურებს  
პაწაწკინტვლა ალულა:  
— რას ამბობ, გოგო, იმხელა  
ყურებს დაბანა არ უნდა!

## მელანი

მამა მოვიდა თუ არა,  
მაშინვე ჰკითხა ანამ:  
— მითხარი ერთი, მელანი  
ასე ძვირია, განა?  
— რად მეკითხები კულრაქავ?  
— რად და, კაბაზე ხედავ?  
სულ ერთი წვეთი დამეჭვა  
და გამიბრუნდა ღელა.







თავს სწავნი


შეაფასეთ ცარიელი უჯრედები ფრინველთა და ცხოველთა სახელწოდებებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ ნიკო ლომოურის ცნობილი მოთხრობის სათაური.  
შეადგინა ქ. ცხინვალის საშ. სკოლის მოსწავლემ **ლალი გოგინოვა**.

**ღარი ჩანტლაძე**

**პარჯიუი ბრამატიკაუი**

— მაიკო, — ჰკითხა ნინომ მამას; „ჩვენ ვკამთ“... ზნის რა დროა?  
— სადილობის, — მამის მაგივრად უპასუხა ბექამ.

**ხბოს ეძინება**

ბექა ზაფხულში სოფელში ისვენებდა, ბებოსთან. ერთ საღამოს, როცა ბებომ საქონელი ბოსელში შერეკა, ბექამ სახლიდან უშველებელი ბალიში გამოიტანა.  
— სად მივაქვს? — შეეკითხა გაკვირვებული ბებია.  
— ხბოს თავქვეშ უნდა დავუდო, ისე როგორ დაიძინებს, — უპასუხა ბექამ.

**დათო შავაძე**

კაცო ნანის ეუბნება:  
— გპართებს დიდი დაფიქრება, თრ მადლს კატა მივუპატოთ, რა მოსდება, რა იქნება?  
— არაფერია... ინსუბეებს, ვაი-ვაიში შეიქნება.

# თხა

გურამ ოჯონიძე

წვერი დაგრძელება  
წვერცანცარა თხასო,  
გამოსულა სცენაზე,  
ლექსი უნდა თქვასო.

# გამრჯე ბაჭია

ივარი ხარაძე

სტუენვას სვენმა ბაჭიამ  
შრომა-გარჯა აწიან;  
აბრეშუმის ცხვირსხსოცს  
შემთავლო აწმია.


მეცხესო



„ის უ 1“




“  
ბ ,



„3 კე“



ს



„3 სნ“



ლე



„სე“



სი



“


პ. შერშინის საბ. საბ. სსრ  
სახელმწიფო ბიბლიოთეკა  
თბილისი



იმოგვ ერთნაირი მოციგურავეები.



რომელ ნიძვზე უფრო მეტი გირჩია?!



რამ შეიშინა კურდღლი?!



რამდენი ცვიგაა?!

**შთავარი რედაქტორი მუხრან მახარაძე**

საბრუნველო კოლეგია: ბნურ ბაბუაშვილი (პ/მ, მდიანი), მუსარ მამოხაძე, კუპური გოგიაშვილი, ლეონი მარაძე, მარგალიტა მარგალიტა, ჯიშარი მუჯირი, გიორგი გომიშვილი (სამ. რედაქტორი), იოსებ მამარაშვილი, გომარტ ლარიაშვილი, გივი მამარაძე.

საქ. ალექ. ცაიხა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს უფროსი. ყდაზე ნახატი ზაზა ლიხაძისა

ტექნიკური მხარე მამარაშვილი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: შთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მ მდიანის—93-10-32, 93-98-17; სამ. რედაქტორის—83-98-18; განყოფ.—93-98-19; სამდიანის—93-98-16. გადაცემა ასაწილად 18/Х-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდავად 20/Х1-78 წ., კალკულის ზომი 60×90<sup>1</sup>/<sub>2</sub> ფიხ. ნაბ. ფურც. 25, ტირაჟი 158.000. შეტ. № 2828 „Диа“ № 1. на грузинском языке. ფასი 20 კაბ

საქ. კ. ცაიხის  
გამომცემლობა  
Издательство  
ЦК КП Грузии